გაფიცვის უფლების შეზღუდვა და ლოკაუტის ბოროტად გამოყენება- პრობლემური საკითხები

IV სემესტრის სტუდენტი

რევაზ კახიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სამართლის მაგისტრი, ამირან მეშველიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2015 წელი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერეა:

რევაზ კახიანი

სარჩევი:

შესავალი 6

თავი 1. გაფიცვა და ლოკაუტი საქართველოს კონსტიტუციისა და შრომის კოდექსის თანახმად 7

1,1, საქართველოს კონსტიტუცია 7

1,2, გაფიცვა და ლოკაუტი საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით 12

თავი 2. გაფიცვის შეზღუდვა და ლოკაუტი საერთაშორისო და საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის მიხედვით 23

2.1. პროფესიული კავშირები და გაფიცვის მოწყობის უფლება 23

თავი 3. ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებები გაფიცვის უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით 40

თავი 4. საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის ანალიზი 50

თავი 5. გაფიცვისა და ლოკაუტის როგორც სამართლებრივი ინსტიტუტების დადებითი და უარყოფითი მხარეები ქართული და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით 53

დასკვნა 55

გამოყენებული ლიტერატურა 59

აბსტრაქტი

თანამედროვე სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შრომით კანონმდებლობას, ვინაიდან აღნიშნული დასაქმებული საზოგადოების ყოველდღიური ნაწილია. დასაქმებულის და დამსაქმებლის ურთიერთობებს ყოველმხრივ ზუსტადაც რომ შრმოთი კანონმდებლობა არეგულირებს. დაწყებული შრომით ურთიერთობაში შესვლიდან, დამთავრებული მის შეწყვეტამდე. შრომითი ურთიერთობის პერიოდში, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის წარმოშობილი უთანხმოება შესაძლოა შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველი გახდეს. დასაქმებულის მიერ ამგვარ შეჩერებას იურისპრუდენციაში გაფიცვას უწოდებენ, ხოლო იგივე ქმედება განხორციელებული, დამსაქმებლის მიერ მოხსენიებულია, როგორც ლოკაუტი. იურისპრუდენცია, როგორც მეცნიერება, მუდმივი განვითარების პროცესშია, იგი ვერ გაითვალისწინებს ყოველგვარ ნიუანსს, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს შორის შესაძლოა წარმოიშვას. იგივე შეიძლება ითქვას შრომით კანონმდებლობაზე, როგორც იურისპრუდენციის ნაწილზე. გაფიცვა და ლოკაუტი წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც საქართველოში სამწუხაროდპრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება. სამაგისტრო ნაშრომში განხილული იქნება გაფიცვისა და ლოკაუტის თანამედროვე პრობლემები, ევროპული სამართლებრივი სტანდარტები და მათი შედარება საქართველოში არსებულ პრობლემურ საკითხებთან. საკვლევი თემის პროცესში დასმული საკითხების გადაჭრაში და გზების მოპოვებაში დაგვეხმარება სამეცნიერო ნაშრომები, ნორმატიული მასალა და სასამართლო პრაქტიკა.

Abstract

Labor law occupies an important place in modern law, as part of the employed in the public daily. Employee and employer relations regulates the labor law, in every way. Starting and ending dates of the initiative in labor until terminated. During the period of labor relations between the employer and the employee the period of disagreement, may be grounds for suspension of labor relations. Such suspension by an employee in Jurisprudence is called the strike. The same action is taken by the employer is referred to as lockout. Jurisprudence as a science is in constant development. It can not take into account all the nuances that may arise from the legal relationship between the parties, the same can be said about the labor legislation as part of the law. A strike or lockout are an important part of labor relations, which in Georgia are unfortunately rarely used in practice. Master's thesis will discuss contemporary problems of strike or lockout, the European legal standards and their comparison to the problematic issues of Georgia. In the process, research theme raised issues and the ways to obtain them are found in the help of scientific papers, statutory materials and judicial practice.